




ხაშურის მთაშვე



№21

6 ნოემბერი, პარასკევი, 2015 წელი

საშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბიოგრაფიის გეგმის განხორციელების პროექტის პირველი შედეგების განხილვა

29 ოქტომბერს, საშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასკაშვილმა ერთი წლის საქმიანობის საანგარიშო მოხსენება წარადგინა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მოკლედ მიმოიხილა ის ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული თუ სხვა პროექტები და ღონისძიებები, რაც საშურის მუნიციპალიტეტში მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა.

გასულ და მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტებიდან განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ნაპირსამაგრი სამუშაოები ხაშურში, სურამში, ბიჯნისში და სხვ. საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტები, ხიდების მშენებლობა, გზების მოასფალტების სამუშაოები, 9 აპრილის ხსოვნის მემორიალი, რკინის წყლის სარეაბილიტაციო და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.



საანგარიშო პერიოდში გაზრდილი და გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები.

კულტურული ღონისძიებებიდან კი გამორჩეულია ფესტივალი "არტ გენი", ტრადიციული "ხაშურის ოქროს შემოდგომა" კინოფესტივალის ტრადიციის აღდგენა განახლებულ თოჯინების თეატრის შენობაში და სხვ. მოხსენებაში ხაზი გაესვა სპორტულ მიღწევებსაც.

გამგებელმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და წევრებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობის, მუნიციპალური ა(ა)იპ-ების თანამშრომლებს წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისთვის.

შეხვედრაზე განსაკუთრებით აღინიშნა უწყებათაშორისი თანამშრომლობის როლი და რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლების თანადგომის მნიშვნელობა იმ თითოეული პროექტის განხორციელების საქმეში, რაც საანგარიშო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტში შესრულდა.

შეხვედრის ბოლოს გამგებელმა სამომავლო გეგმები მიმოიხილა და მოქალაქეთა შეკითხვებსაც უპასუხა. ქვემოთ გთავაზობთ ბატონი გიორგის ანგარიშის სრულ ვერსიას.

პატივცემულო მეგობრებო, მოგესალმებით და მადლობას გიხდით მობრძანებოსთვის. სიმბოლურია, რომ ჩვენი გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარდგენა ხდება სწორედ მუსიკალური სკოლის დარბაზში. იმ შენობაში, რომელიც წლების განმავლობაში ელოდებოდა მზრუნველი მეურნის ხელს და სწორედ ჩვენი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო ამ შენობის რეაბილიტაციისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენი გუნდი ხელისუფლებაში მოვიდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ივლისის თვიდან, მას მერე, რაც მივიღეთ ამომრჩევლთა ნდობის მანდატი და შევუდექით ჩვენი უფლებამოსილების განხორციელებას.

მოსვლისთანავე მუნიციპალიტეტში დაგეგვდა პროექტები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხებით, თუმცა, სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, ამ პროექტების განხორციელება არ იყო დაწყებული. შესაბამისად, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე აქტიურად ჩავერთეთ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საქმეში: ეს იყო სასაშენო წყლის მაგისტრალის მოწყობა სოფელ წომსა და სოფელ ხცისში, დაახლოებით 350 ათას ლარიანი პროექტი, რომლის გაგრძელებაც უკვე იგეგმება - პროექტი წარდგენილია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში. გარდა ამისა, შეუსრულებელი იყო ქუჩების მოასფალტების სამუშაოები სურამსა და ხაშურში. დაუსრულებელი დაგეგვდა ასევე ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარე სურამულაზე, სოფელ წომსში ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები.

(გაგრძელება II გვერდზე)

დეპუტატები ხვდებიან ამომრჩევლებს

საშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა ერთწლიანი მუშაობის ანგარიში ჩააბარეს ამომრჩევლებს. საანგარიშო შეხვედრები საკრებულოს სხდომათა დარბაზში და ადმინისტრაციული ერთეულების შენობებში ჩატარდა.



დავით გელაშვილი

ამომრჩეველთა წინაშე წარდგა ქალაქ საშურის მაჟორიტარი დავით გელაშვილი. ისაუბრა მის მიერ გაწეულ საქმიანობაზე, ამომრჩეველთა მიერ წამოჭრილ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე და დადებითად გადაჭრილ კონკრეტულ საკითხებზე. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ჯერ კიდევ გადაუჭრელ ბევრ პრობლემას და აღნიშნა, რომ საჭიროა აქტიურად ჩარევა მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმარებაში და პრიორიტეტების სწორად შერჩევა.



მამუკა წიქარიშვილი

ხცისის ამომრჩეველს შეხვდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე მამუკა წიქარიშვილი. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ადგილობრივებმა წამოჭრეს ისეთი საკითხები, როგორცაა: ხცისის ამბულატორიის კეთილმოწყობის, კულტურის სახლის აღდგენისა და ჭიდაობის საბაზო სკოლის დაარსების საკითხები. თუმცა ყველაზე აქტუალური ზამთრის სეზონზე სათბობი შეშის დეფიციტი აღმოჩნდა, ისევე როგორც სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.



ირინა გელაშვილი

სურამის მაჟორიტარმა, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ირინე გელაშვილმა იმ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ინიცირებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა, რომლებსაც საკრებულოს წევრმა დაუჭირა მხარი და აქტიურადაცაა ჩართული მათ მიმდინარეობაში. აღნიშნა, რომ მომავალი წლისათვის სურამში კიდევ რამდენიმე კარგი პროექტი განხორციელდება.



მიხეილ ჯიბუტი

ანგარიში ამომრჩევლებს ასევე ჩააბარეს საკრებულოს წევრებმა და თანამდებობის პირებმა: ზაალ ფცქიალაძემ, ზაურ ხაჩიძემ, მიხეილ ჯიბუტმა, ირინე გრიგალაშვილმა, ვიზო ტალახაძემ, კანონი საკრებულოს წევრს ყოველწლიურად, 1 ნოემბრამდე ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარებას ავალდებულებს.



ირინე გელაშვილი

(გაგრძელება)

აღნიშნული სამუშაოებიდან ოთხი დასრულდა. რაც შეეხება მშენებლის უპასუხისმგებლობით დაუსრულებელ მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი კედლების მოწყობის სამუშაოებს, მის დასასრულებლად მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 215 700 ლარი და მიმდინარეობს მშენებლობა, ხოლო შპს „მშენებელი XXI“ და სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფის“ მიმართ მუნიციპალიტეტის გამგეობას დაწესებული აქვს სასამართლო პროცესი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას, 2014 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობამ გამოუყო 858 923 ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, პრიორიტეტის ნუსხაში განისაზღვრა 133 ობიექტი. მათ შორის იყო სხვადასხვა ინფრასტრუქტურული მიმართულებები, კერძოდ: გარე განათების მოწყობა, მოსაცდელელების აშენება, სოფლის ამბულატორიების მშენებლობა, გზების მოხრეშვა, წყლის სათავე ნაგებობების მოწყობა, სარიტუალო დარბაზის მშენებლობა და მრავალი სხვა. ანუ, ფაქტობრივად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არ დარჩენილა სოფელი, სადაც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი მაინც არ განხორციელდებოდა.

ორგანიზაცია და ინდემწარმე იყო ჩართული, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები. ცალკე აღსანიშნავია 2014 წლის 13 აგვისტოს, სოფელ ქვიშხეთში, მომხდარი სტიქია. მდინარე შოლას ადიდების შედეგად დიდი ზიანი მიადგა როგორც ინფრასტრუქტურული ობიექტებს, ისე ადგილობრივ მოსახლეობას. მუნიციპალიტეტის გამგეობის ძალისხმევით და შესაბამის სტრუქტურებთან კოორდინირებული საქმიანობით, საგანგებო რეჟიმში, ადგილზე მოხერხდა ვითარების სტაბილიზაცია და დაიწყო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 აგვისტოს №1480 განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 082 532 ლარი. ჩატარდა საპროექტო სამუშაოები, განხორციელდა დაზიანებული და განადგურებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა და, ხშირ შემთხვევაში, ახლის აშენება. სოფელში განხორციელდა 4 ახალი ხიდის მშენებლობა და 3 არსებული ხიდის რეაბილიტაცია. სულ საპროექტო დოკუმენტაციით შესრულებულმა სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 830 736 ლარი. ამასთანავე, სტიქიით დაზარალებულ 119 ოჯახზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფულადი დახმარების სახით გაიცა 102 886 ლარის კომპენსაცია.

მიმდინარე წელს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოფელ გომში



ს კ ო რ ტ უ ლ - კ უ ლ - ტურული ცენტრის მოსაწყობად მიმდინარეობს ძველი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები. სოფელ ცხრამუხაში დასასვენებელი ბაღი და ოშში დაღუპულთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის, ხოლო სოფელ ქვემო ოსიაურში საჭიდაო მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები, ასევე სოფელში: კრისხე

ვში, ოდისში, აღში, დუმაცხოვში, ბრილში, ჩორჩანაში, ცხეთიჯვარში სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. პრიორიტეტად იქნა მიჩნეული გარე განათების, გზების და სანიაღვრეების მოწყობის სამუშაოები. მუნიციპალიტეტის გამგეობის ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ჩატარებულიყო საპროექტო სამუშაოები და გამოცხადებულიყო ტენდერი სოფელ პატარა ფლევი წყლის ჭაბურღლის მოწყობაზე. ამჟამად მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული მოქმედებები ხელშეკრულების დასადასტურების შემდეგ, უახლოეს დღეებში, დაიწყება სამუშაოები და სოფელსრომელიც წლების განმავლობაში განიცდიდა უწყობას და მიმდინარე წელს საეკონომიკური მარაგდებოდა, ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს საკუთარი წყლით.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გამგეობა აქტიურადაა ჩართული მცირემწიფან ფერმერთა დახმარების პროგრამაში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგეობის წარმომადგენლებისა და სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით შესაძლებელი გახდა, რომ 2014 წელს, საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში მონაწილეობა მიეღო 12 511 ბენეფიციარს და მოხსნილიყო 5196 კა სასოფლო-სამეურნეო სავარგული.

2015 წელს კი, პროგრამის მიხედვით საგაზაფხულოდ მოიხსნა 3618 ჰექტარი, საშემოდგომოდ მოხსნილია 1210 ჰექტარი, მიმდინარეობს სამუშაოები და საშემოდგომოდ ნახნავს კიდევ მიემატება 912 ჰექტარი, მიმდინარე წელს სულ მოხსნილი იქნება 5740 ჰექტარი სავარგული.

შესაბამისად გაუმჯობესდა ბენეფიციართა აღრიცხვის სისტემა და თუ 2014 წელს 800-მდე ბენეფიციარი ვერ მოხდა დახმარების მიმღებთა სიაში, 2015 წლისთვის მსგავსი პრობლემა აღარ ყოფილა.

რაც შეეხება ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი რესურსები ძირითადად მიმართა გზების, საკანალიზაციო ქსელის მოწყობის, ხიდების რეაბილიტაციის და სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებში. ადგილობრივი რესურსებით განხორციელდა ქალაქ ხაშურში გაგარინის, ფარნავაზის, ბორჯომის ქუჩებზე (წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძართან) მდებარე მინი-სტადიონების რეაბილიტაციის, სანიაღვრე არხების და საკანალიზაციო ქსელის, მათ შორის 5 საბავშვო ბაღის საკანალიზაციო ქსელის მოწყობის, ქალაქ ხაშურში პოლიციის შენობასთან არხის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის, ქალაქ ხაშურსა და დაბა სურამში ორმოული შეკეთების სამუშაოები. ცენტრალურ ქუჩებზე მოეწყო სიჩქარის შემზღვეველი ბარიერები და განხორციელდა საგზაო-პორიზონტალური მონიშვნა. სოფელ ბრილში, მდინარე ბუღუთურაზე, შესრულდა ნაპირსამაგრი სამუშაოები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებას. მიმდინარე წლის 9 თვეში სულ განხორციელდა 175 შესყიდვა. გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 4 408 160 ლარი. მათ შორის: დაბა სურამში, მდინარე ბიჯნისულაზე, ნაპირსამაგრი სამუშაოებზე - 225 000 ლარი, ქალაქ ხაშურში ვაჟა-ფშაველას ქუჩის სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის და ასფალტირების სამუშაოებზე - 668 799 ლარი; დაბა სურამში, პუშკინისა და რუსიას ქუჩების ნაწილობრივ მოასფალტებისა და სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოებზე - 379 000 ლარი. დაბა სურამში, მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი სამუშაოებზე - 383 998 ლარი; დაბა სურამში მოწესრიგდა რკინის წყლის ინფრასტრუქტურა.

მინდა აღვნიშნო, რომ საქმიანობის დაწყებისთანავე ჩვენი ყურადღება მიიპყრო საბავშვო ბაღების შენობების სავალდებულო მდგომარეობამ: შენობების უმრავლესობა დაზიანებული იყო, ხოლო მე-6 საბავშვო ბაღი, თვედორე მდგდლის ქუჩაზე, ფუნქციონირებს ნაქირავებ შენობაში. არსებული შენობა კი რეაბილიტაციას აღარ ექვემდებარება. მიმდინარე წლის საქმიანობის პრიორიტეტად მიჩნეული იქნა არსებული მძიმე მდგომარეობის შეძლებისდაგვარად გამოსწორება. ამ მიზნით, დაიწყო და მიმ-

დინარეობს ქალაქ ხაშურში ხეთაგურის ქუჩაზე №3 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები ღირებულებით 81 077 ლარი. გურამიშვილის ქუჩაზე №4 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები - ღირებულებით 334 439 ლარი; მაისის ქუჩაზე №5 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები - ღირებულებით 305 000 ლარი; მომზადებულია პროექტები, გამოცხადებულია ტენდერები და უახლოეს მომავალში დაიწყება სურამის №9, აღის, გომის, ვაყის, ცხრამუხის საბავშვო ბაღების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე დაიწყება ქვიშხეთის საბავშვო ბაღის მშენებლობის პირველი რიგის სამუშაოები და მე-6 ბაღის არსებული შენობის ნაწილობრივი დემონტაჟის და მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ბაღის მშენებლობის საპროექტო სამუშაოები. აღნიშნული მშენებლობების დასრულება გათვალისწინებულია მომავალი წლისთვის.

პარალელურად, განხორციელდა სოფელ ცხრამუხის, სოფელ ოსიაურის საბავშვო ბაღების გაზიფიცირება და ცენტრალური გათბობის დამონტაჟება ოსიაურის ბაღში. უახლოეს პერიოდში იგეგმება დანარჩენი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაზიფიცირებაც.

როგორც აღვნიშნეთ, ხაშურის სამუსიკო სკოლაში გარემონტდა და რბილი სკამებით აღიჭურვა საკონცერტო დარბაზი. ამჟამად მიმდინარეობს სკოლის გარე ფასადის მოპირკეთების სამუშაოები.

წელს პირველად, ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში, შესაძლებელი გახდა უფასო ინტერნეტი სარგებლობა. ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩატარდა ბიბლიოთეკას, საქალაქო კულტურის სახლსა და მუზეუმს, კულტურის ცენტრების გაერთიანების შენობასთან განხორციელდა მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, რამაც მნიშვნელოვნად გააღამაზა ქალაქის იერსახე. განხორციელდა თოჯინების თეატრის დარბაზის სრული რეაბილიტაცია და თანამედროვე ტექნოლოგიებითა და განათებით აღჭურვა. მომზადებულია პროექტი, ჩატარებულია ექსპერტიზა და უახლოეს დღეებში დაიწყება მუზეუმის შენობის უკანა კედლის გამაგრების სამუშაოები, რომლის დასრულების შედეგად მოიგვარდება მუზეუმის შენობის მდგრადობის პრობლემა. ასევე უახლოეს პერიოდში დაიწყება ქ. ხაშურში სვანთის ქუჩის მოასფალტების და დაბა სურამში 9 აპრილის ქუჩის მოასფალტებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელთა განხორციელება შესაძლებელი გახდა გამგეობის ადმინისტრაციული რესურსების შემცირების ხარჯზე. სამუშაოები განხორციელდა სხვადასხვა ფონდებიდან და დონორთა ორგანიზაციებიდანაც. მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით მოეწყო აშუღლატორია სოფელ ბეკამში, ასევე აღნიშნული ფონდის მხარდაჭერით დასრულდა სოფელ წაღვლში სასმელი წყლის ჭაბურღლის მშენებლობა, რომელზეც დაიხარჯა 50 000 ლარი.

წარმატებით ვითანამშრომლეთ და დღესაც ვაგრძელებთ თანამშრომლობას დონორ ორგანიზაციებთან, აღნიშნული ორგანიზაციების დახმარებით ძირითადად კონფლიქტისპირა სოფლებში მოხდა რიგი სამუშაოების ჩატარება. მაგალითად, სოფელ წაღვლში განხორციელდა წყლის სისტემის მოწყობის საკმაოდ მასშტაბური პროექტი და სანიაღვრე არხის მოწყობა სოფელ წროშში.

მინდა შევეხო ასევე ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაზიფიცირება, ელექტროენერჯის მიწოდება და გამრიცხველიანება. საკმაოდ მასშტაბური ნაბიჯები გადაიდგა აღნიშნული მიმართულებებით. მიმდინარე წელს, ადგილობრივი რესურსებით დაიწყო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა სოფელ სარტყელასათვის სოფელსა და ათეული წლები არ მიეწოდებოდა ელექტროენერჯია.

იმედს ვიტოვებთ, რომ შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით და ადგილობრივი რესურსების გამოყენებით უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტში აღარ გვექნება ისეთი ქუჩა, სოფელი თუ დასახლება, სადაც არ იქნება გაზი და ელექტროენერჯია.

არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების მიზნით გაიცა მშენებლობის 84 ნებართვა, მათ შორის: ხაზობრივ ნაგებობებზე - 5, საცხოვრებელ სახლებზე - 28, სასტუმროებზე - 2, საგაჭრო ობიექტებზე - 16, ავტოტექნიკის სასტუმროებისა და ავტოსამრეცხავ ობიექტებზე - 5, კომერციული ობიექტებზე - 2, ფერმა - 2, ავტომგასამართა - 2, ავტოფარეხი - 2, სასაწყობო შენობებზე - 7, სახეობის ობიექტებზე - 3, დემონტაჟი - 6, საოფისე შენობა - 1, საწარმო - 3. შეთანხმებული იქნა - 1 კლასის ობიექტების მშენებლობის 72 პროექტი; მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა - 33 987 ლარი.

გამგეობის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ გატარებული ღონისძიებებისა და პროცედურების შედეგად, ხაშურის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში 2013-2014 წლებში გადმოეცა 35 ობიექტი, აქედან 2014 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანებით - 18 ობიექტი. მიმდინარე წელს გადმოეცა 5 ობიექტი.

დაწესებულია საპრივატიზებო და სარეგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხის და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტის დამუშავება, რომელთა გაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განხორციელდება ელექტრონული აუქციონის წესით. მზადდება ქონების პრივატიზების, სარეგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების სამართლებრივი აქტები.

მუნიციპალიტეტის გამგეობა გარკვეულ შემთხვევებში მოსახლეობის მომსახურების ამაღლების მიზნით. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით გარე განათება მოეწყო სოფელ კრისხეში და სოფელ ხცისში, განსაზღვრულია მოეწყოს კიდევ 10 სოფელში. ხოლო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოეწყობა 27 სოფელში. სულ გარე განათების სამუშაოებში მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაიხარჯოს 133 900 ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ მიერ ქალაქ ხაშურისა და დაბა სურამის ქუჩებში განთავსებული კონტეინერული ყოველდღიური, ხოლო 13 ტერიტორიული ორგანიზაციის ყოველკვირეულად ხორციელდება ნარჩენების გამოტანა. ასევე, იწმინდება შიდა სამეურნეო დანიშნულების კიუბები და არხები. მოსწორდა და გაიწმინდა ათეულით უკანონო ნაგავსაყრელი. ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში მოიხრეშა და მოსწორდა შიდა სასოფლო გზები, მოეწყო სანიაღვრეები. გამართულად მუშაობს გარე განათების არსებული ქსელი.

მუნიციპალიტეტის დასუფთავებას ემსახურება 3 ერთეული სპეც. ავტომანქანა, 9 ერთეული თვითმკვლელი სატვირთო ა/მანქანა; დაბის განათებას ემსახურება 2 ერთეული აშუღლატორია, კალაია; ხოლო საგზაო ინფრასტრუქტურას - 1 ერთეული მუხლუხიანი ტრაქტორი, 1 ერთეული ექსკავატორი და 1 ერთეული გრეიდერი.

აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან კოორდინაციით, „საქართველოს მეარი ნარჩენების მართვის კომპანიაში“ ხაშურში მოაწყო თანამედროვე სტანდარტების ნაგავსაყრელი, რომელიც სრულად კეთილმოწყობილია. იხლოდება გაუკეთდა ნაგავსაყრელის ტერიტორიას, ნარჩენები გადაიფარა საიზოლაციო ფენით. დღესათვის ობიექტი მთლიანად ელექტრიფიცირებულია. განახლებული პოლიგონი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებსა და უზრუნველყოფს მათ ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

ქალაქის გამწვანებისა და იერსახის მოწესრიგებას ემსახურება ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საგანე“, რომლის მიერაც ყოველდღიურად ტარდება სკვერებისა და გაზონების დასუფთავების და ავტოტექნიკური სამუშაოები. საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება ამორტიზებული ხეების მოჭრა ან გადაბეჭვა. მოჭრილი ხეები და გადაბეჭდილი ტოტები იჭრება და საშემდეგ ურიგდება სოციალურად დაუცველ ოჯახებს, თითოეულს 3 მ3 მოცულობით. მიმდინარე წელს 54 მ3 საშემდეგ მერქნით დაკმაყოფილებულია 18 სოციალურად დაუცველი ოჯახი. პარალელურად მიმდინარეობს ახალი ხე-მცენარეების დარგვის სამუშაოები. მიმ-

(გაგრძელება III გვერდზე)

(დასახელების იხ. ხაშურის მთაშენი №20.

რეკლამები კარგად უნდა იყოს მოწყობილი. ხაშურში არსებული რეკლამები კარგად უნდა იყოს მოწყობილი.

„დაერიეთ ქურდებს, დაგაჯექით ქურდად!“
2012 წლის არჩევნების შედეგად მოვიდა ახალი ძალა. თამაზი ასკენის: „დაპირებები, როგორც ადრე, ახლაც უხვია, თუ თავის სიტყვას მერე არავინ გადაუხვია.“

„ოცნება კოცნის „ნაცებს“ თურმე ასე სურს სოროსს, ბეჭებზე ვინ ვის დასცემს, ხალხი იხილავს ბოლოს“. საქართველოში არსებულმა უმუშევრობამ და სხვა ნეგატიურმა მოვლენებმა ქვეყნის მოსახლეობის ნაწილის, ძირითად მუშა ხელის საზღვარგარეთ ლუკმა პურის საშოვნელად გადინება გამოიწვია. პოეტი გულისტკივილით ამბობს: „მიდის ქართველი საქართველოდან... მიდის... სად მიდის არავინ იცის“.

ვაი, რომ გადახვეწილებმა თვითონაც არ იციან ხსნის გზას დაადგენ თუ დალუპვისას. მასაც უტრიალებს ფიქრი წავიდეს საზღვარგარეთ, მოსაფერებლად და სანუგეშოდ ერთი კეში მშობლიური მიწა გაიყოს, მაგრამ არ შეუძლია სამშობლოდან განშორება და რჩება მშობლიურ მიწაზე. იგი წერს: „და მაინც ვრჩები! ვიცი არ წავალ, თუმც საქართველო უნემოდ გაძლებს, მე მაინც აქ ვარ საჭირო ახლა, გაქცევის სურვილს დარჩენით დავძლევ“.

„ჩემი მიწის სილამაზე, როგორც ვარდი ისე დაჭკნა, ჩემი მიწის სიყვარული სულში ხელუხლებლად ჩარჩა“.

„როგორც მეტყველება ცრემლიან თვალთა, ქვებით გვიქსოვია მამულის განცდა“.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ სიტყვების ავტორს, მამულის განცდის ქვებით მქსოველ კაცს, შეეძლოს სხვის მიწაზე ცხოვრება. პოეტი შეწუხებულია იმ გარემოებით, რომ საუკუნეთა განმავლობაში სისხლით შენარჩუნებული ქართული მიწა თანდათან უცხოტომელთა ხელში ვარდება. ზოგი ამას ძალით ახერხებს, ზოგი ქართველთა ბედოვლათობის ხელშეწყობით. სხვათა მრავალშეიღიანობისა და ქართველთა ცოტაშეიღიანობის გამო, საფუძველი ეყრება საკუთარ მიწაზე უმცირესობაში აღმოჩენას. სამომავლოდ კი არა, პოეტი თანამედროვეობაშივე სვამს კითხვას: „დიდი ხანია გულს მიღრღნის ეჭვი, დღეს საქართველო ვითომ ჩვენია?“

თამაზ ჩაღუნელის შემოქმედების მოკლე მიმოხილვა

თამაზ ჩაღუნელი, როგორც მებრძოლი სულის პოეტი, გულისტკივილით ხმამაღლა ამბობს:

„ყველა გვებრძვის და ყველას ენებდებით! რა გვჭირს? რა დობე-ყორეს ვეძებთ...?“

„ვინც არ იზარებს, ძაღლი და ღორი, ყველას სურს ქართველს სახლში მიუხტეს“.

კომუნისტურმა ინტერნაციონალიზმმა ისე ააჭრელა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობა, რომ ქვეყნის ერთ მუშტად შეკვრას ალბათ ვეღარავინ შეძლებს. ჩვენ პატარა სახელმწიფო, მცირერიცხოვანი ერი ვართ და თვითმყოფადობის შენარჩუნება თანდათან გაგვიჭირდება, თუ სინამდვილეს თვალვინებთ ჩახვდებით, ძნელი მისახვედრი არაა, რომ ვერცერთ სახელმწიფოს სამხედრო ძალით ვერ დაგამარცხებთ. ამიტომაცაა, რომ ძლიერ მფარველს ვეძებთ, თუმცა გავიწივდება, რომ ჩვენს გამო თავს არავინ აიტყვივებს. თავის სახელმწიფოს სიფათის წინაშე დააყენებს და ისე დაგვემართება, პეტრეს მოსვლამდე რომ პავლეს ტყავი გააძრეს. ბატონ თამაზს ეს ძალიან კარგად ესმის და განვლილ ოცწლეულს ასე ახასიათებს:

„ოცი წელია ხალხი უცხო პანგებზე ტოკავს, გადაჰყვა „ნატოს“ ძახილს, სხვის უკანაღის ლოკვას“.

პოეტს კარგად წარმოუდგენია, რომ:

„გარეთ ნაბიჯს ვერ გადადგამ, ჯერ შეინით თუ არ მომაგრდი“.

გაძვალტყავებულ და დანაწინაკებულ ქვეყანას ტვირთად არავინ მოიკიდებს და ნებისმიერ დროს

„ვეროპა – ძველი კახაა გზაში ხელახლა გაგვეცვლის, ჩვენთვის არც „ნატო“ გაღვება, აღარ გვაღირსა „მაპი““.

თამაზ ჩაღუნელის შემოქმედება სამშობლოს სადიდებლად ანთებული კვლავტარია, რომელიც თავისი ხალხის სიყვარულსა და ბედზე წუხილში იღვინება: „მენატრება გაზაფხულზე გაზაფხული... მენატრება... ყველაფერი მენატრება! მაგრამ მეტად ხალხის სულის, დაზაფრულის, და სამშობლოს მომავალი მედარდება“. - ამბობს პოეტი.

მშობლიური ბუნების სიყვარული, მის გულში ჩაწვდომა, მოვლენები, მისეული ხედვა და აღწერა არის თამაზის შემოქმედებითი პოეზიის განსაკუთრებული ნაწილი, რასაც ჩვეულებრივი ადამიანები ყოველდღიურობაში ვხედავთ და ყურადღებას არ ვაქცევთ, თამაზისთვის შთაგონების წყაროა და მას ისეთი თვალით და გრძობით გვიჩვენებს, რომ გინდა მისი ხატება დიდხანს არ გაქრეს. აი, ბუნებრივი მოვლენების მისეული აღწერა: „მზე გადაესვენა მთების საფარველში“.

„მზემ დაიხრწო ზღვაში თავი“.

„ხღვისა მშურს, რომ თეთრი ქაფით კოცნის ქალის ლამაზ ფეხებს“.

„ასე, ნამი მზეზე ფიქრით, თავის თავის სიკვდილს ეძებს“.

„წვიმის წვეთების სიცივესაც აქვს თავის ხიბლი, უფოთლო რტოს რომ ბრილიანტად დაეკიდება, დღის რიყრაჟზე გაბრწყინდება ვით წმინდა სისხლი, ჩუმად გაქრება... სხვა რაღა ქვეყნად დიდება“.

პოეტი გაანხლებულ ბუნებაშიც კი ამჩნევს რაღაც სასიკეთოს და ამბობს: „ვერაგი იყო რაღაცით მარტი, მაინც სიცოცხლე, სითბო მოჰქონდა“.

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში, მისი აღმაფრენის თუ ოცნებათა ფრთაშეკვეცილობის გამოკვეთილად გამოხატვის ძირითადი ფაქტორია ასაკი. მცირედი გამოხატვის გარდა, ასაკში შესული პოეტები სიყვარულზე აღარ წერენ. ისინი მხოლოდ მოვლენებში იძირებიან. ამ მიამრთულებით თამაზ ჩაღუნელს ბევრი რამ აქვს მოსაგონარი, მტკივნეულიც და რომანტიულიც. მის სიყვარულზე ერთი დიდი წიგნი დაიწერებოდა. მას უსახლგროდ უყვარდა თანაკურსელი გოგონა. მისი შთაგონების წყარო, ურომლისოდაც არსებობაც კი ვერ წარმოვდგინა. მოვიყვან რამდენიმე ლექსის ციტატას, მიძღვნილს გულწრფელ სიყვარულისა და მისთვის ერთ დროს უძვირფასესი ადამიანისადმი; „მზე ამოეფარა დრუბელს, შენი სილამაზის შერცხვა“.

„ღმერთი რომ ვიყო, ვიტყვოდი ნეტავ არ ვიყო ღმერთი, ვიყო შენს გვერდით არ მექნებოდა სხვა ნატვრა ქვეყნად“.

„შენ და ღმერთს შუა წილი რომ ვყარო, მე ვიცი, მომკლავს შენი წყურვილი“.

„მოთელი ცხოვრება ვიყავი კენტად, განატობდი შენ და მთის წვერზე-კარავს“.

„შენ იცი ჩემი მუდმივი სევდა, იცი, რომ დედა არ მეღის სახლში, მინდა შენ იყო ოჯახის დედა და სხვას დანარჩენს ერთ წამში წავშლი“.

ამ გულწრფელ სიყვარულს, როგორც პოეტმა შეამჩნია, მერე მხრიდან არ ჰქონდა საკმარისი თბილი განწყობა. თამაზი ამას გრძობდა და იბრძოდა სიყვარულისთვის: „და თუ იწამე სიყვარული თავისით მოდის, ხელში შეგრჩება ცარიელი ქვა და როდინი“.

„მაგრამ ქალის გულის თვალებს ჩადრი აფარია“.

„არ შეიძლება დაძლევა მიჯნის, რომელსაც ქალი მუდამ მისტირის“.

დრო გაილია, როგორც ჩანს, თამაზის სიყვარული აუსრულებელ ოცნებას ემსგავსებოდა. მაშინ პოეტმა ნაღვლიანად ჩაიწურა: „გულს ტრფობა, მგონი, მოუვიდა გადამეტებით“

და სატრფოს მიმართ დაიწყო საყვედურნარევი გამოთქმები, თუნდაც ასეთი: „მე დავიღალე შენი სიცივით“.

„მშორდები – როცა გაიხლოვდები და იღრუბლები – როცა ვიცინი...“

მგონი ღმერთი დამცინოდა... აღარ მწამდა არაფერი, ქალი ღმერთად აქციო და არ ირწმუნოს ქალმა შენი“.

„სულის საუნჯე დაგახარაჯე და ახლა ცხოვრებას ვიწყებ თავიდან“.

„ფიქრებმა უკვე საკმარისად დაიყვავილეს, მაინც ნაყოფი აღამაზებს ბოლოს ყვევილებს“.

პოეტი თანდათან შეგუვა ამ ძლიერი სიყვარულის უნაყოფოდ დაყვავილებას და ხელნაქნეული, გულდამძიმებული ამბობს: „ამ ქვეყნად მარტო ვიბადებით და წავალთ იმ ქვეყნად ჩვენი გზით... კენტად“.

„წელსაც იქნება ყოველივე, რაც იყო შარშან, მხოლოდ შენ ერთი ჩემს ცხოვრებას აღარ შემორჩი“.

დიდსულოვან პოეტს, მიუხედავად იმედგაცრუების მწარე მოლოდინისა, არ უნდა საყვარელ ადამიანს გული ატკინოს და ნაღვლიანად მიმართავს: „მე მაინც არ მინდა, რომ დაჩრე ნაწვენი, როცა ყველაფერი დასრულდება...“

მონდა ისე რომ მხურვალე სიყვარულიც დასრულდა. გაოცებული პოეტი ამბობს: „ვერ გამოვსულვარ სიყვარულის ლაბირინთიდან“ და „სიყვარული ახლა სიხმრებს შემორჩა“. ძალიან მტკივნეულად განიცადა პოეტმა ეს განშორება, რადგანაც საყვარელი თანაკურსელი გოგონა მისთვის იყო ცხოვრების შინაარსის მომცემი და მუხის უშრობი წყარო. ეს გულისტკივილი მან ასე გამოხატა: „სინათლეს სძინავს, დათარეშობს სულში სიკვდილი, რადგან სიცოცხლეც შენ იყავი და სიყვარულიც“.

დრო გავიდა. ახალი სიყვარულიც მოვიდა, მაგრამ მას აღარ ჰქონდა ის განცდა და ხიბლი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა პოეტის სულში. პირველ სიყვარულს კიდევ ერთხელ უთხრა: „შენს შემდეგ იყო რამდენი ქალი, რამდენი ტანი, მაგრამ რა მერე, უკვალოდ გაქრა ყველა, ვით ქარი ფიქრში მხოლოდ შენ ერთმა იმდურე“.

„შენი სიტყვები, კოი, როგორ მონატრებია, უცებ ვიგრძენი, შენს მეტი სხვა არ მეყარებია“.

პოეტმა დაძლია განშორების დარღს და მარტოსულად არ დარჩა. ცოლად შეირთო შესანიშნავი მშობლების შესანიშნავი შვილი, ნინო ქუბულაძე, შეეძინათ ორი ბიჭი, ინარჩუნებენ სიყვარულს და სულიერ სიმდიდრეს.

რაც შეეხება თამაზ ჩაღუნელის თაობას, რომელიც თავს დაკარგულ თაობას უწოდებს, კატეგორიულად ვერ დავეთანხმები ასეთ შეფასებას. ის დაკარგული კი არა, დადარში შემონახული ნაკვერჩხლი თაობაა, რომელიც უხეში ძალით იყო დათრგუნული, მაგრამ ღმერთმა შეუნარჩუნა გაღვივების უნარი, რათა ანთო ახალი ცეცხლი, რომელიც დაწვავდა ირგვლივ გამეფებულ უკეთურობას. ახლა თქვენი დროა პოეზიის მიყუჩებულ დევებო, თქვენი მართალი სიტყვა ისხნის სამშობლოს განსაცდელისგან. თამაზ ჩაღუნელს დაბადებიდან 50 წელი შეუმჩნევლად წამოპარვია, ალბათ თვითონაც ვერ გრძობს, რომ შუადღემ მოუსწრო. მე მისი პოეტური შესაძლებლობები ვიცი და გული მწყდება, რომ ამ ბოლო წლებში საგამომცემლო საქმეებში ჩაეფლო, პოეტური ნაშრომების შექმნას კი ნაკლებ დროს უთმობს. მე მისთვის ამის გამო არაერთჯერ მითქვამს საყვედური, თუმცა ყველაფერს ობიექტური ახსნაც მოეძებნება და პასუხი კი ასეთი აქვს: „მაგრამ ერთი ვიცი, რასაც ვამბობ, (გაგრძელება VI გვერდზე)

საბავშვო საშუალება

მეტი ხაზბაძე: მე მოხწავლებს ცხოვრებას ვასწავლიდი

ქალბატონ მერი ხარაბაძეს ხაშურის დღესასწაულზე შეგხვდით, საპატიო ხაშურელის წოდების გადაცემის დროს, როდესაც მადლიერმა ქალაქმა ღვაწლი და პროფესიის სიყვარული დაუფასა საკუთარ თანამოქალაქს. სკოლის კედლებში გატარებული 53 წელი, ბავშვების სიყვარული, რომელიც თაობების პიროვნულ თუ პროფესიონალურ ზრდას ემსახურებოდა, რაიონში ცნობადობის და დიდი სიყვარულის სახელი დაუმკვიდრა მას.



ყო მასწავლებელი - უდიდესი პასუხისმგებლობაა. პირნათლად შეასრულო დაკისრებული მოვალეობა, მხოლოდ ერთეულებს ძალუბთ. ბავშვის სულიერება ხომ ფაიფურის ჭურჭელს წააგავს, სათუთად მოფრთხილება უნდა. ქალბატონი მერი სწორედ ისეთი პიროვნებაა, რომელიც წლების განმავლობაში ძალ-ღონეს არ იშურებდა სათანადო ცოდნა მიეცა ბავშვებისათვის და სწორი გზა ეჩვენებინა მათთვის. მოსწავლეების მიმართ გამოვლენილი გულისხმიერება,

დებობრივი მზრუნველობა და კოლექტივისადმი სიყვარული 53 წლის განმავლობაში პრესტიჟის გარანტი იყო ნომერ პირველი გიმნაზიისათვის. ქალბატონი მერისათვის სკოლა იყო მეორე სახლი და ადგილი, სადაც მისი პიროვნული ღირსებები მთელი თავისი დიდებულებით წარმოჩინდებოდა ხოლმე. მან დაუდასტურა შრომით მოახერხა იმდენი, რომ ბავშვებს შეუქმნა ისეთი ცოდნის ნაესაყუდელი, სადაც, არამარტო საგანს ასწავლიდა, არამედ ცხოვრების მიძიმე ქარტყილებთან გამკლავებასაც. მისი ცხოვრების განვლილ გზაზე ქალბატონ მერის სახლში ვესტუმრეთ და ვესაუბრეთ.

ქაღბაცონო მერი, მოგვიყვით თქვენ შესახებ? როლის დაინყეთ თქვენი ჯელაგოიური კარიერა?

-1929წელს დავიბადე ხაშურში და აქვე გავიზარდე. მამანემი, ვალერიან ხარაბაძეც პედაგოგი იყო, ამიტომ გენეტიკაში მაქვს მასწავლებლობა. ჩემი ამ გზით წასვლა იმანაც განაპირობა, რომ ბავშვები ძალიან მიყვარდა. ყველგან, სადაც კი ბავშვს დაეინახავდი ვეალერსებოდი და ვიხუტებდი. უსაზღვროდ მადლიერი ვარ ჩემი პროფესიის. სწორედ ბავშვებისადმი უსაზღვრო სიყვარულმა გამაძლგებინა ის 53 წელი, რაც მე სკოლის კედლებში გავატარე. როდესაც გააკეთილზე შევედიოდი და ბავშვებს გადავხედავდი, ყველანაირი დარდი, გაჭირვება და პრობლემები მაიწყდებოდა. საერთო ჯამში კი, 65 წელი გავატარე ამ სკოლაში, ჯერ როგორც მოწაფე და შემდეგ უკვე პედაგოგი. მასწავლებლობის პერიოდში ბევრ საქმეს ვასრულებდი, ვიყავი: პროფესიული კავშირის კომიტეტის მდივანი, პედაგოგიური საბჭოს მდივანი, ვხელმძღვანელობდი ბიოლოგიის სექციას.

ვიყით, რომ ბაცონი გია გურსაწაწვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი, თქვენი მოსწავდე იყო, კიდეუ თუ აღგინრლიათ სქეთი ხარმაცებელი მოსწავდეები?

-კოტე აფრიდონიძე, გულიყო კარიული, მირანდა გუდაძე ესენი ყველანი პროფესორები არიან. გიორგი ლობჯანიძე - უსაყვარლესი მოსწავდე. ასევე ზურა ჩხიტიანი - საუკეთესო იყო. აქ ხაშურში, საავადმყოფოებში, საჯარო სამსახურებში, ოთხმოცი პროცენტი ჩემი მოსწავდელები და აბიტურიენტები იყვნენ.

ქაღბაცონო მერი, როგორ თქვობთ, რა არის მიხეზი იმისა, რომ თქვენი მოსწავდეები და არამარტო, სქე თბილად გიხსენებენ და უყვარსართ?

-არასოდეს ჩემი მოსწავდეს ხელით არ შეგხებვიარ. ძალიან იშვიათად, რომ ხმა ამეწიოს მათთვის. კი, იყვნენ ცელქი ბავშვები, მაგრამ მე მათზე არ ვბრაზობდი პირიქით, ბავშვს ბავშვობა უნდა ეტყობოდეს და ვეუბნებოდი, რომ უნდა ეცელქათ, ბავშვობა სწორედ ვე იყო. მაგრამ გააკეთილზე წყნარად უნდა მსხდარიყვნენ და მიჯერებდნენ, გასუსულები მისმენდნენ. მათი დამცველიც ვიყავი, ხშირად გაბრაზებული მასწავლებლებისგანაც კი ვიცავდი მათ. ბავშვს, რომელსაც ვფიქრობდი, რომ მეტი ყურადღება სჭირდებოდა, სახლშიც ვაკითხავდი და ვარიგებდი დედა-შვილურად. ნოდარ დუმბაძე ასეთ რამეს

წერდა, რომ მასწავლებელი ოთხ საიდუმლოს უნდა ფლობდეს; პირველი ის, რომ თავისი საქმის მცოდნე უნდა იყოსო, მეორე, ბავშვები უნდა უყვარდესო, თავისი ცოდნის გადაცემა უნდა შეეძლოსო და შეცოდების უნარი უნდა ჰქონდესო. ჩემის მხრივ, კი ყოველთვის ვცდილობდი ამ გზით მევლო. ბავშვები ხშირად მეუბნებოდნენ, რომ ერთი დედა სახლში ყავდათ - აღმზრდელი დედა, მეორე კი, მე ვიყავი, სკოლაში. ხშირად დედიკოსაც მეძახდნენ ხოლმე. ალბათ, ჩემი სწავლების მეთოდიკაც მოსწონდათ. ერთი მოსწავდე მეყვარდა, ტარიელ კიკნაძე. ერთხელ მოვიდა და მეუბნენა: „მერი მასწავლებელი, თქვენ ასწავლით გაკეთილს ისე კარგათ ვგებულობთ და წიგნში ვეღარაფერს ვიგებთო.“ მერე, ვაძლევდი ჩემ მიერ მომზადებულ კონსპექტებს და უფრო ადვილად ითვისებდნენ.

რამდენი ხანია უკვე ჯელაგოად აღარ მუშაობთ?

-10 წელია უკვე რაც სკოლიდან წამოვედი. ბოლო ხუთი წელი მაინც ვაჭიანურებდი წამოსვლას, ვერც კი წარმომედგინა, ზარის ხმაზე სკოლაში რომ აღარ მივიდოდი. საბოლოოდ, იმანაც გადამაწყვეტინა წამოსვლა, რომ ერთი ლაბორანტი უმუშევრად რჩებოდა და გადავწყვიტე საათეები მისთვის დამეთმო. 2005 წელი იყო, როცა სკოლიდან წამოვედი და მაშინ 76 წლის ვიყავი.

რომეიდე შვიდი თუ გაყვა თქვენ გზას?

-გოგონები ფატი და მარინა მასწავლებლები არიან. მარინა რატიანი ისტორიის მასწავლებელია პირველ სკოლაში. მალხაზი მეტყვევებინებია პროფესიით, თამაზი კი დურგალია, ავეჯს ამზადებს. ისე



კი, თბილისში სავაჭრო-ეკონომიური ტექნიკუმი აქვს დამთავრებული. ქაღბაცონო მერი რას ნიშნავს თქვენთვის საწაციო ხაშურელის ხოლებს?

-ძალიან მიყვარდა და მიყვარს ჩემი ხაშური. მამანემსაც უყვარდა, იძახდა წყნარი ადგილიაო. თბილისშიც იყო საშუალება მეცხოვრა, მაშინ ჩემი მეუღლეც სამინისტროში მუშაობდა და დაპირდნენ სახლსაც მოგცემთ და მე სკოლაში მომცემდნენ საათებს, მაგრამ მე ვერ გავკლგებდი ხაშურის გარეშე. დედ-მამაც მარტონი იყვნენ აქ, ასე, რომ წყნარი ხაშური ვარჩიე ხმაურიან თბილისს. მიუხედავად, იმისა რომ ჯილდოები ჩემთვის უცხო არ იყო, საპატიო ხაშურელის წოდება მაინც ასმაგად სასიამოვნო იყო, ძალიან გასახარია როდესაც ჯილდოს შენი ღვაწლის გამო შენი ქალაქისგან იღებ.

ო. ხსედაცი

ინტერვიუ (დასასწრუდი) იმის ნახეგარი უთქმელია. ჩვენ შენგან უფრო მეტს მოველით ბატონო თამაზ! დაღმართის გზა უფრო ჩქარა განილევვა, ვიდრე, აღმართის. შენ ზენიტში ხარ. არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა თამაზის პიროვნული თვისებების შესახებ, თუმცა, არ მინდა ეს კომპლემენტულ დახასიათებას დაემსგავსოს. ბატონი თამაზი ისეთ გარემოცვაში გაიზარდა, რომ მისთვის უცხოა მედიდური გამოხედვები. უბრალოებაშია მისი სიდიადე, უადრესად თავშეკავებულია. ხუმრობასაც ხომ საზღვარი აქვს, ზოგიერთი უზრდელი ისე თავისუფლად და უბატლოდ ექცევა მას, რომ სხვისთვის ეს ძნელად მოსათმენია. ნებისმიერი ასაკისა და ჭკუა-გონების ადამიანთან საუბრობს აუღელვებლად. დამშვიდებულად უსმენს ბრძენსაც და ქარაფშუტასაც. მისი ყოველი სიტყვა გულთბილი და დამრიგებლურია. ყურადღებიანი და კეთილშობილია. ისე გაიზარდა, რომ თავისი ბავშვური ანცობით არავინ გაუღიზიანებია. იყო სკოლის ბრწინვალე მოსწავდე, აქტიური და ზრდილობიანი, სხვაზე მადლა თავის თავი არასოდეს დაუყენებია. ცხოვრებისეულ სიძნელებებს შეუპოვრად ებრძოდა. მისგან შორს იყო გულგატეხილობა

თამაზ ჩაღუნელის შემოქმედების მოკლე მიმოხილვა

და მოშვებულობა. ამის მაგალითი უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების ჩაბარების პირველი წარმატებული მცდელობის შემდგომი პერიოდის შეუპოვარი მეცადინეობებიც გამოდგება. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებსაც ასრულებდა, ახალგაზრდულ გართობებსაც იკლბდა და ყოველ თავისუფალ წუთს წიგნების კითხვას უთმობდა. ვინმეს თუ მისგან ფიზიკურად დახმარება დაჭირდებოდა, არასოდეს უარს არ ეტყოდა, თავის საქმეს გადადებდა და მას მიეხმარებოდა. თამაზ ჩაღუნელის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ ბევრი პოზიტიური რამის თქმა შეიძლება, მაგრამ იგი მკაცრად ამბობს: „არ უნდა პოეტს არავის ქება, მხოლოდ სიყვარულს ითხოვს ის თქვენგან, თუ მიუხედავად სტრიქონთა სველას, მაშინ პოეტი უკვდავი ხდება“. დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ ჩემს თვალში ხალასი ხასიათის ბავშვად დარჩენილო შუა ხნის თამაზ! შენი პროზაული ნაწარმოებებისა და პუბლიცისტური წერილების განხილვა სამომავლოდ გადავლოთ.

რეზო ბერიბაღვაშილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe 2015@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001. მ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუსიაშვილი.